№ 42

ხუთშაბათი, 26 თებერვალი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 42

ხუთშაბათი, 26 თებერვალი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



უნაკლულოდ და სრულიად ჰნახავთ

ქვეყანაზედ ყველაზედ დიდს მუზეის

შულცე-ზენკოვსკისას.

ღიაა ყოველ-დღე გოლოვინის პროსპექტზედ, მირიმანოვის სახლის ორს სართულში

საანატომიო განყოფილება

ქალებისთვის მხოლოდ პარასკეობით არის ღია.

ჩამოვიდა დანარჩენი განყოფილებანიც ოდესისა და მოსკოვისა

მუზეუმში 1000 ახალი სხვა-და-სხვა რამ არის გამოფენილი

5—45—4) შესვლა ღირს 20 კაპ.

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

მ. ბარკალაიას მიერ გამოცემული

ახალი წიგნი

სამღრთო გამოცანები

(ზმაკიდურები ჩვენს მოღვაწეებზედ)

თ. ნ. ტ. დადიანისა

წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ჰღირს სამი შაური. ვინც ასს წიგნს ერთად იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, მანათზე აბაზი დაეთმობა. (—220—6)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. — დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით 1 1/2—2 1/2 ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. მ. ზუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (წ)

დოქტორი მედიცინისა

ზ. ი. ქალანთაროვი

(ახლად მოსული ქ. ხარკოვიდგან)

იღებს ავადმყოფებს შინაგანის სნეულებითა, დილის 11—1 საათამდის და საღამოს 5—6 საათამდის.

სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, მირზოევის სახლი, № 1.

(10—23—9)

## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა 1898 წლის 3 თებერვალს კეთილ-ინება და უბოძა ორდენი წმ. ანნა მესამე ხარისხისა დასაჯილდოვებლად 12 წლის განმავლობაში გულმოდგინე სამსახურისათვის იმერეთის ეპარქიის დაბა ხონის მღვდელს ერასტი მაჭარაძეს.

გადაყვანილ იქმნა: ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის საეროზო დარაჯის უფროსი, მილიციის პრაპორშჩიკი როსტომ ავალიანი—ბორჩალოს მაზრაში იმავე თანამდებობაზედ.

კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა შემდეგი ადგილები და ვენახები იცნო ფილოქსერით დაავადებული: ქუთაისის გუბერნიაში ქუთაისისა, შორაპნისა, სენაკისა, ზუგდიდისა, ოზურგეთისა და ლეჩხუმის მაზრები. რაჭის მაზრის: სოფ. ცახში—გიორგი, იოსებ, ლუკა და საბა ბერაძეების ვენახები; სოფ. სადმელში—ალექსანდრე ვანეიშვილის ვენახი; სოფ. ბაჯში—ალექსი და პიკო დვალისა, სამსონ სვანიძისა, ალექსი დვალისა, ფირან ჩახონელიძისა და სვიმონა სვანიძის ვენახები.

ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სურამის ნაწილის შემდეგ ადგილებში: სოფ. ალი—ყულიჯანოვებისა პეპო, ციცა, სანდრო და დათას ვენახები, მურად გიგოევისა, ციცა, იაგორა და გიო გარსევანიშვილებისა, დავით ჯანოევისა, ბექო, სანდრო და ზურაბა გიგუაშვილისა, შაქრო, პავლე, ვანო და გიო გელაშვილებისა, პიკო, გიგო, გაბო, ლაზარე, დათა, სარდიონ, ტეტია, ზაქარია, მიტრო, ლექსო, გიგოს ქვრივის, პეტრე, გაბო, ზაქარია, ნესტორ, მართა, სოსოს ქვრივის, გიგის, გიოს, ზაქარია დავითის ძეთა ნოზაძეებისა, სინო, პავლე, ვასო, სტეფანე, ივანე, ვანო, ტატო, ზებედე, გიო გლახას ძეთა და გიორგი ქურდაძეებისა, სოლო, გიო, მიხა, ილიკო, ნატო და თეკლე გოთევზაძეებისა, მიხა და ვანო ფატარიძეებისა, მაქსიმე ხარაზიშვილისა, ზაქარია სხილაძისა, მანუკა ყვიჟინაძისა, ნესტორ, ილიკო და დიმიტრი გვარამაძეებისა, ვანო, გიგა და სანდრო გაგნიძეთა, შამილა ბედუაშვილისა, ივანე კაპანაძისა, ხვალუმაშვილისა და გიო ინდოშვილისა; სოფ. ქინძათში—ანდრო, ნიკო და ვანო ახალკაცის ვენახები, გაბო დარბაიძისა და ზურაბა და ზაქარია ქიტიაშვილებისა; სოფ. დუმაცხოში—ტატო და ლექსო პაპუაშვილებისა, სოფ. ოძისში—ვენახები: გიო და ალექსი გოგოლაძისა, გაბო, ზაზა და ხინო ბლიაძეთა, როსტომ ხაჩიძისა, დავით აბასაძისა და პავლე კიკნაძისა; სოფ. ცივ-წყაროში—ვენახები: იოსებ, იულონ, მელიტონ, ხეხულა, ზაქარია, პავლე, იაკობ, მიხეილ, იორდანე, მარკოზ, სოლომონ და ფარსადან ხაჩიძეთა და დათა აბასაძისა; სოფ. დირფში—ვენახები: გიგო ბლიაძისა, ზაქარია ხატაშვილის, ზაქარია ფერაძისა, ტეტიკა ხიხაძისა, ლექსო გაბეძიშვილისა, ლექსო ჯამუაშვილისა, სოლო მურაჩაშვილისა, მიხა ტეტუნაშვილისა, სანდრო მუშკიაშვილისა, ნინიკა კვირიაშვილისა, შაქრო ფერაძისა, გიგო და სოლო მაზლიშვილებისა, მელქო პატუაშვილისა, ილია ლობჯანიძისა, ტარასი მგალობლიშვილისა, ვანო დოლიაშვილისა, პავლე ირაძისა, გიო კვირიკაშვილისა, ზაქარია დეკანოზიშვილისა, ბეკო დოლიაშვილისა, წყალობა დოლიაშვილისა, შაქრო ფერაძისა, ტატო ხატაშვილისა, გიორგი ბაინდურაშვილისა, ვანო ქვრივიშვილისა და ვანო ჩქიტურისა.

## ახალი ამბავი

ფინანსთა სამინისტრომ წინადადება მისცა ტფილისისა და ბაქოს [illegible] რეთ და გარდაეცით ქუთაისისა და ერევნის ახლად დაარსებულ სახელმწიფო პალატებს ამ ადგილების შესახები საქმეები, რათა ხსენებულმა პალატებმა 1 აპრილიდგან დაიწყონ მოქმედებმა და თუ ამ დროსთვის ვერ მოასწრობთ, მაშინ 1 მაისისათვის უსათუოდ გარდაეცითო. პალატების მმა-

# ფელეტონი

### მეფე გიორგი მეთორმეტეს ტახტზედ ასვლა *)

როდესაც ერეკლე გარდაიცვალა, საქართველო ჯერ კიდევ წელში არ იყო გამაგრებული აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ... ისინი, რომელთაც მამულის სარგებლობა ჰსურდათ, ერეკლეს სიკვდილი მიაჩნდათ ახალ სასჯელად, ხალხზედ მოწევნულად, და წინდაწინვე ჰგრძნობდნენ არეულობასა და ქვეყნის დაღუპვას. ერეკლეს დარჩა შვიდი ვაჟი, რომელთ შორის უფროსი გიორგი მიეცა პირველის ცოლისაგან. ძველადთგანვე საქართველოში ტახტის მემკვიდრედ მეფის უფროსი შვილი ითვლებოდა, თუმცა ამის შესახებ არავითარი კანონდებულება არ არსებობდა... ხანდა-ხან საქართველოში სამეფო ტახტი მეფის ძმებზედაც გადადიოდა... დედოფალი დარეჯანი, ერეკლეს მეორე (?) ცოლი, სცდილობდა ტახტი მისს შვილებს დარჩენოდათ, და მისი გერი არ გამეფებულიყო. დარეჯანს ჰყავდა დიდი ნათესაობა, რომელიც ორმოც-და-ორის სულისგან შესდგებოდა.

უკანასკნელს წლებში, როცა ერეკლე ძლიერ მოხუცდა და ამასთან დასნეულდა, დარეჯანი განაგებდა სახელმწიფოს, მისი მომხრეები შეიკრიბნენ და გადასწყვიტეს, რომ უკეთუ გიორგი გამეფდებოდა, მისის სიკვდილის შემდეგ ტახტი იმის შვილებს-კი არ დარჩენოდათ, არამედ იმისს ძმებს უფროსობის მიხედვით. ამის შესახებ შედგენილ იქმნა ანდერძის მსგავსად ოქმი, რომელიც მოხუცებულმა და ავადმყოფმა ერეკლემ დაამტკიცა, როგორც თვით ამბობს, თვისის ნების წინააღმდეგ. „ის წერილი“—სწერს ერეკლე გიორგის „დაწერილ იქმნა ჩემგან ნება-რთვის აუღებლად: ის ნამდვილი არაა და არაფრად შესარაცხია. მერწმუნე მე და ერწმუნე ღმერთსა, გეფიცები ჩემს მშობელს თეიმურაზს, მე იმ წერილის თანახმა არა ვარ. როდესაც ეს ომიანობა გაივლის (ხოჯას შემოსევა), როგორც რიგია, ისე მოვიქცევი. დაგარწმუნებ ღვთის სახელით, რომ შენს უფლებას არ დავარღვევ და უწინდელს წერილს, რომელიც ძმებს მივეცი, გავაუქმებ“. მაგრამ მან ვეღარ მოასწრო ამ წერილის გაუქმება: აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ და ავადმყოფობამ ხელი შეუშალა ამ საქმეში. გიორგის ფრიად სწყინდა მამის ასეთი საქციელი—თესლი შფოთისა და უთანხმოებისა ერთის მხრით იმისა და, მეორეს მხრით, დედინაცვალისა და ძმათა შორის დათესილ იქმნა. ერეკლე გარდაიცვალა. ყველა დასტიროდა იმისს დაუმარხავს გვამსა და იქვე სჩადიოდნენ მზაკიდობას ურთიერთის წინააღმდეგ. დედოფალს დარეჯანს ქმარიც დაავიწყდა: ის ჰფიქრობდა ან გიორგი სრულიად არ აეშვა სამეფო ტახტზედ და თვით გამეფებულიყო, რომ შემდეგ იულონისთვის გარდაეცა მეფობა, და ან, უკიდურესს შემთხვევაში, გიორგისთან ერთად იმასაც ემეფნა.

გიორგი სიჭაბუკის დროს მამაცი იყო: ძლიერ უშველა მამას ერევნის ბრძოლაში; იმის დახმარებით ერეკლემ საშინლად დაამარცხა მტრები. მაშინ გიორგი ჯარის სპასალარი იყო. სხვა რამ თვისებანი იმას არა ჰქონდა; სჩანდა, რომ ის უფრო სასულიერო წოდებისთვის ემზადებოდა, ვიდრე მეფობისათვის, უზომო ღვთის მოყვარეობა და ქვეყნიერ საქმეთა გულ-გრილობა—მისის ხასიათის უმთავრესს კუთვნილებას შეადგენდა. სასულიერო წოდება იმას დიდს პატივსა სცემდა და ეს გარემოება ფრიად აშინებდა იმისს მოწინააღმდეგე დასს და ეფიქრებოდათ, რომ ამ პატივისცემით არ ისარგებლოს და მამის მიერ დაწერილი ტახტის მემკვიდრეობის ანდერძი არ გააუქმებინოსო. ამისთვის ამ დასმა, ერეკლეს სიცოცხლის დროსვე, მოახერხა გიორგის თელავიდგან განძევება კეთილსაჩინო საბაბით.

ტფილისმა, აღა-მაჰმად-ხანის აოხრებისა და შავის ჭირის შემდეგ, მისცა მოხერხებული შემთხვევა ამ დასს და ჩააგონეს ერეკლეს, რომ ქალაქს ყურადღება ეჭირვება და რომ არავის გიორგიზედ უკეთესად არ შეუძლიან ეს მინდობილობა შეასრულოსო. ერეკლემ მოიხმო შვილი და გაჰგზავნა საქართველოს სატახტო ქალაქში. გიორგი მიხვდა მიზეზს თვისის მინდობილობისას, მაგრამ იგი მამის მორჩილი იყო და ახლაც დაემორჩილა. სთხოვა მამას, თანაშემწენი მომეციო, რომელთ დაუხმარებლადაც ის მარტო ვერას გააკეთებდა. დაინიშნა თანაშემწეებად უმეტეს ნაწილად თვისი მომხრეები, როგორც, მაგალითად, ივანე ორბელიანი, ელიაზარ ფალავანდიშვილი, ალექსანდრე მაყაშვილი და მღვდელი ელეფთერ ზურაბიშვილი. ამასთანავე, ეჭვი რომ არ აეღოთ, დაინიშნა თანაშემწეებად მოწინააღმდეგე დასის წარმომადგენელიც, როგორც, მაგალითად, თავადი ივანე ბაგრატიონი, თავადი ბებუთაშვილი, ტფილისის მელიქი და სხვ... გიორგი მოვიდა ტფილისს, რომელიც იმ დროს წარმოადგენდა ქვებისა, ფერფლის და დამწვარის სხეულების გროვას; ყოველგან გაისმოდა კვნესა და ოხვრა შიმშილითა და შავის ჭირით მომაკვდავთა... გიორგიმ ტფილისი ცოტა ფეხზედ წამოაყენა... თითონ ტფილისში დარჩა და თავისი შვილი დავითიკი გაჰგზავნა ბორჩალოს მხარეში, რომ იმას თავიანთს ადგილებზედვე დაებრუნებინა ყაზახის, შამშადილის და ბორჩალოს ტომნი, რომელნიც სცხოვრობდნენ გიორგის საბატონიშვილო მიწაზედ. დავითსვე უნდა დაებრუნებინა შინ კაცები, რომელნიც ტფილისის ახლოს იყვნენ დახიზნულნი, და ყველა ის მცხოვრებნიც, რომელთაც დაეტოვებინათ სოფლები არაგვის ხეობაში. მოსალოდნელი იყო საშინელი შიმშილობა საზამთროდ. გიორგიმ განკარგულება გასცა ბლომად მოეტანათ ხორბალი ყარსის საფაშოდგან და იმ ადგილებიდგან, რომელთაც მტრის ხელი არ შეეხო. ტფილისში გიორგი ცოტახანს დარჩა. იქიდგან წავიდა სალაოღლუში, ყაზახის აღალარებთან (მემამულეებთან). აღალარებმა და ბორჩალოს მცხოვრებლებმა გიორგი დიდის პატივით მიიღეს, რადგან კარგად ახსოვდათ მისი სიმამაცე. გიორგიც სცდილობდა ყოვლის ღონის ძიებით იმათთან კარგი განწყობილება ჰქონოდა. გიორგის მომხრეები ჰყავდა თელავში, რომელნიც ატყობინებდნენ ყოველსავე

*) ნ. დუბროვინი. „Георгій XII“... თავი მე-3.

რთველებად დანიშნულ იქმნენ უკვე ქუთაისისა—გრიგორაში და ერევნისა—მიხაილოვი.

⁂ იმ სარედაქციო კომიტეტში, რომელმაც უნდა გადაათვალიეროს საკომერციო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებასთან დაარსებულ კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ბუჰგალტერთა და ნაფიც ანგარიშის მწარმოებელთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ, მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ იქმნებიან სხვა-და-სხვა ქალაქის წარმომადგენლები და იმათ შორის ქ. ტფილისისა.

⁂ ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ფინანსთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ტფილისში დაარსებულ იქმნას სატარიფო ბიურო.

⁂ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველომ დაადგინა მიმდინარე წელს 18 ქალაქში გაიყვანოს ტელეფონი. სხვათა შორის ტელეფონი გაყვანილი იქმნება ამიერ-კავკასიის ქალაქებს ქუთაისსა და განჯაში.

⁂ შარშან კავკასიის სოფილოქსერო კომიტეტმა ქართულ ენაზედ გამოსცა აგრონომის ვ. ა. სტაროსელსკის მიერ დაწერილი მოკლე დარიგება ამერიკულის ვაზის მოვლა-მოშენების შესახებ. კომიტეტმა 800 ცალი დაჰბეჭდა ამ დარიგებისა და დღეს აღარც ერთი აღარ არის, ყველა გაისყიდა, ეხლა კომიტეტს აზრადა აქვს ხელ-ახლად გამოსცეს 1000 ცალი ამ დარიგებისა. ამ ახალ გამოცემას, როგორც ძველს, სურათებიც ექმნება დართული. კარგი იქმნება, რომ ქართულადაც დაიბეჭდოს იგი.

⁂ სახალხო კითხვების მმართველთ ნ. ხუდადოვს, ზ. პოკატილოვს, ა. ევანგულოვს და სხვათა შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ ნება მისცენ ტფილისის საპატიმროებში სახალხო კითხვები გამართონ ისე, როგორც კავკასა და კიშინიოვშია. გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, მთავრობამ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა.

⁂ ორშაბათს, 23 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში გაირჩა საქმე კარაპეტ მელქუმოვისა, რომელსაც თავისის ძმის მოკვლა ჰბრალდება. ეს მკვლელობა 1897 წელს, 5 დეკემბერს, ღამე მოხდა. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, კარაპეტ მელქუმოვმა ღამე თავისს ძმას მძინარეს ჩაქუჩი დაარტყა თავში და ისე მოჰკლა. შემდეგ მოკლულის გვამი ნაკუწ-ნაკუწად დასჭრა და მტკვარში გადაყარა. ოლქის სასამართლომ კარაპეტ მელქუმოვი დამნაშავედ სცნო და გადაუწყვიტა ჩამოერთვას ყოველივე უფლება და გაგზავნილ იქმნას 12 წლით კატორღაშიო.

⁂ გაზ. „ტფ. ფურ.“ ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ კავკასიის მთავარ-მართებელის საბჭოს მიერ შემუშავებულს პროექტს ხიზანთა დებულების ზოგიერთა მუხლების შეცვლის შესახებ სახელმწიფო საბჭოს მახლობელი სესსია განიხილავს კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის თანადასწრებითაო.

⁂ ს. ფასანაური, (დუშ. მაზრა). 22 თებერვალს ჩვენის სასიქადულო მეფის ერეკლეს დაკრძალვის დღეს აქაურს ტაძარში წირვა და პანაშვიდი იქმნა გარდახდილი ქართულად მეფის სულის მოსახსენებლად. წირვასა და პანაშვიდს მთელის ფასანაურის საზოგადოება დაესწრო.

⁂ სოფ. ჩირაკი, (დუშ. მაზრა). 22 თებერვალს მღ. დავით კახაბერმა გარდაიხადა წირვა და პანაშვიდი მეფე ერეკლეს სულის მოსახსენებლად. წირვის შემდეგ მღვდელმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ერეკლე მეფის შესახებ. სიტყვას ხალხი დიდის გულმოდგინეობით უგდებდა ყურს.

⁂ სოფ. დიდი-ჯიხაიში (ქუთაის. მაზრა). 22 თებერვალს აქ პანაშვიდი იქმნა გარდახდილი მეფის ერეკლე მეორის სულის მოსახსენებლად. ამ დღეს ადგილობრივმა მღვდელმა სიტყვა წარმოსთქვა მეფის მოღვაწეობის შესახებ. პანაშვიდის გარდახდის დროს ჰგალობდა ჯიხაიშის სასოფლო სასწავლებლის მოსწავლეთა დასი.

## წერილი თელავიდგან

მეფე ერეკლეს პანაშვიდის გარდახდა *)

თელავის ქართველობამ და რუსობამ ჯერ-მოიყარეს თავი თელავის ტაძარში, სადაც წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ტაძრის კრებულის, თელავის სხვა სამღვდელოებისა და სოფლებიდგან მოსულ სამღვდელოების თანადასწრებით და დეკანოზის იერემია ხირსელის თავს მდგომობით. პანაშვიდს დაესწრო თელავის თავად-აზნაურობა თავისის წინამძღოლით, თელავის ქართველი მოქალაქობა, სხვა და სხვა სასწავლებლის მასწავლებელნი და ზედამხედველნი, მაზრის უფროსის თანაშემწე, ბოქაულები და სხვანი მრავალნი ქართველნი. თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გამგეობის თავმჯდომარემ ქ-ნმა სოფიო სტანისლავის ასულმა განსვეჩისამ ტაძრიდგან საზოგადოება გაიწვია თვით სასწავლებლის შენობაში, სადაც მისივე თაოსნობით საპანაშვიდოდ მოწყობილი იყო სწორედ ის ოთახი, რომელშიაც გარდაიცვალა გმირი მეფე. აქ პანაშვიდს დაესწრნენ თვით მოსწავლენიც. ტაძარში გალობდა სასულიერო სასწავლებლის ქართული ხორო, რისთვისაც დიდის მადლობის ღირსია სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ბ-ნი სოგინი, რომელიც ყოველს ამისთანა შემთხვევას ღირსეულად თანაუგრძნობს ხოლმე. ხოროს ლოტბარობდა ბ-ნი ნ. სულხანიშვილი და ამანვე წარმოსთქვა დროს შესაფერი სიტყვა, რომელიც ასე დაათავა: „ყოველთვის დიდი გმირის გვამში დიდი სული ჰბუდობს და აი, ეს დიდ-სულოვნება გმირთა-გმირის ირაკლისა იყო მიზეზი, რომ მრავალი იმისთანა შეიწყნარა, შეიბრალა და შეითვისა, რომელნიც არ იყვნენ ამის ღირსნი. ამიტომ წყალობისა, შებრალებისა და შეთვისების სამაგიეროდ ულალატეს და აღა-მაჰმად-ხანს შეამუსვრინეს 65 წლის ღვაწლი ერეკლესი.

ამის შემდეგ ერეკლე დაემგზავსა იმ სამხედრო ხომალდს, რომელსაც არ აყენებს ზღვის ფრთვინვა და ღელვა იმ ნავთ-სადგურში, სადაც იგი დამკვიდრებულია და მიჭირვებულია დასტოვოს ნავთ-სადგური, უშველოს სადმე თავსა. ნავთ-სადგურიდგან გამოსულს ხომალდს თუმცა ბევრი გზა აქვს გახსნილი ფართო ზღვაში, მაგრამ არ იცის, რომელ ნავთ სადგურისაკენ გაემგზავროს, რომელი ამჯობინოს თავის შესაფარებლად. ამ უვიცობის გამო ამ ხომალდს მოელის ყოველს წუთს და ყოველს ადგილს სხვა-და-სხვა უბედურება წყალში დაფარულ კლდეებისაგან, ქარიშხალისაგან, რიყიან ანუ თხელ ადგილებისაგან და სხვანი. ამისთანა მდგომარეობაში მყოფმა ხომალდმა რა საკვირველი იქნება, რომ დროზედ სანეტარო ნავთ-სადგურს ვერ მიაღწიოს და შეუხვიოს ისეთს ნავთ-სადგურისაკენ, რომელშიაც ძლივს დაეტევა! საქმე ის არის, ხომალდზედ გადარჩენილთ მხნეობა და გამჭრიახობა შერჩეთ, რომ ნავთ-სადგური გასწმინდონ, გააფართოვონ, გაამშვენონ, გახადონ უვნებელი ცხოვრების ქარიშხალისა და მტრებისაგან.

„დიახ, მოვალენი ვართ მისი სულის მოხსენების დღეს დავდოთ უტყუარი პირობა, რომ ანდერძს არ გავუტეხთ ჩვენს გმირთა-გმირს ერეკლეს: დავრჩებით ღირსეულნი შვილნი იმ მიწა-წყლისა, სარწმუნოებისა და ენისა, რომელთა დაცვასაც შეალია თვისი სიცოცხლე ქართველთა გმირმა და ბატონმა ერეკლემ. კურთხეულ იყოს საუკუნოდ ხსენება მისი“.

ნადიკვრელი

*) ეს წერილი თავისს დროზედ ვერ დაიბეჭდა, რადგან ჩვენის კორესპონდენტისაგან გამოგზავნილი იგი გზაზედ დაკარგულიყო და ჩვენამდის აღარ მოუღწევია. ამიტომ კორესპონდენტი იძულებულ იქმნა ხელახლად დაეწერა შემოკლებით.

რედ.

# რუსეთი

განზრახვა აქვთ მთელის რუსეთის სასანიტარო მკურნალთა კრება გაჰმართონ ქ. პეტერბურგში. კრებამ უნდა მოილაპარაკოს გადამდებ სენთან საბრძოლველ საშუალებათა შესახებ.

— უმართებელესმა სენატმა ამ ახლო მომავალში უნდა გამოსთქვას თავისი აზრი იმის შესახებ, რომ გლეხთა საერთო საოჯახო მამულ-დედულმა შეიძლება დააკმაყოფილოს ოჯახის ყოველის წევრის ვალი, თუ არა.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს რუსეთის მეფუტკრეობის საზოგადოება, რომ კარგი იქნება სამინისტრომ თავისს ხარჯით სამაგალითო საფუტკრეები დააარსოს იქ, სადაც მეფუტკრეობას მისდევენ და ამ გვარად ხელი შეუწყოს მეფუტკრეობის საქმის განვითარებასაო.

— რადგან მომავალ მაისს მთელის რუსეთის ცხენების გამოფენა იქნება გამართული ქ. პეტერბურგში,

---

ამბავს, მცირეოდენს მოძრაობასაცკი სამეფო სახლისას. ერთმა მომხრეთაგანმა ბორჩალოში მყოფს გიორგის მოუტანა ამბავი ერეკლეს მეფის გარდაცვალების შესახებ. გიორგიმ უბრძანა მოეტანათ ჯვარი და სახარება და მოეწვიათ იმასთან მყოფი ბორჩალოში მოხელეები. ისინი გამოცხადნენ... შიში და გაუგებრობა გამოიხატა იმათ სახეებზედ... ამათ გარს შემოერტყა შეიარაღებულ აღალართა რაზმი.

— ჩემი მშობელი,—სთქვა გიორგიმ: ღვთის ნებით გარდაიცვალა. მე, უფროსი მისი შვილი, მემკვიდრე ვარ ტახტისა. ვისაც ჰსურს, შემომფიცოს ერთგულება, ვისაც არა ჰსურს და მისი ნებაა.

გიორგის მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს შეჰხედეს, გადაჰხედეს გარშემო მყოფს რაზმს შეიარაღებულის აღალარებისას და თავადი ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი პირველად მივიდა ჯვართან; იმას სხვებიც მიჰყვნენ უკან.

— გაუმარჯოს მეფე გიორგის — გაისმა აღურიცხველის ხალხის ხმა...

ყველა იქ მყოფმა შეჰფიცა მეფეს ერთგულება. ბორჩალოელებმაც მალე და ადვილად შეჰფიცეს გიორგის... მაშინვე მოისურვა გიორგიმ შეეპყრო თვისი ძმა, მეფის ძე ალექსანდრე, რომელიც მამას აღარ ემორჩილებოდა უკანასკნელს ჟამს და რომელმაც ხმა გააგდო, რომ ტფილისს დაიჭერდა და გახდებოდა ქართლის მეფედ. ალექსანდრე გაიქცა დუშეთს; გიორგი-კი გორს წავიდა და იქ შეიფიცა თავადები და ხალხი... დანარჩენი მეფის ძეები და ასულნი, შვილები ერეკლესი, ალექსანდრეს გარდა, შეიკრიბნენ თელავში დარეჯან დედოფალთან.

სალა-ოლლაში მომხდარი ამბავი გაგებული ჰქონდათ. მეფის მოწინააღმდეგე ძლიერმა დასმა არ იცოდა რა ექნა და ამ დასის წარმომადგენელნი ერთმანეთში თათბირობდნენ და გეგმებს აწყობდნენ მოქმედებისას. ესმოდათ, რომ საქმე უკვე წაგებული იყო და ამიტომ ჰფიქრობდნენ დაკარგულის საქმისგან რაიმე სარგებლობა მაინც გამოეტანათ...

დედოფლის დარეჯანის განკარგულებით, მოედანზედ სასახლისწინ შეგროვდნენ სახელმწიფოს მოხელეები და უპატივცემულესი სასულიერო წოდება. ერეკლეს მდივანი, თავადი სულხან თუმანიშვილი თვისის ამხანაგებითურთ გამოვიდა სასახლიდგან და უთხრა შეკრებილთ:

— მთავარ ეპისკოპოსნო, ეპისკოპოსნო და თავადნო! ჩვენ გამოგზავნილ ვართ დედოფლისა და უწმიდესის კათოლიკოსისაგან იმის გამოსაცხადებლად, რომ ისინი თანახმა არიან აღიარონ მისი უმაღლესობა მეფის ძე გიორგი საქართველოს მეფედ. მაგრამ რადგანაც ღვთის მოწყალეებით დარეჯან დედოფალი ცოცხალ არს, ამისთვის დედოფლის წოდება და მასთან შეერთებულნი უფლებანი მასვე უნდა ეკუთვნოდეს და გიორგის მეუღლე კი იწოდებოდეს მეფის რძლად. სასულიერო წოდებავ და თავადებო! თანახმა ხართ თუ არა დაამტკიცოთ ეს წინადადება?!

ყველა სდუმდა.

— რა პასუხი მიუტანოთ იმათ, რომელთაც გამოგვგზავნეს?!

ხმა არავინ დასძრა.

— რა პასუხი მივუტანოთ იმათ, რომელთაც გამოგვგზავნეს?!

გაიმეორა კიდევ თუმანიშვილმა.

ხალხის გროვა შუა გაიპო, და გამოვიდა მთავარ ეპისკოპოსი ხარჭაშნელი (ჩოლოყაშვილი გვარით), რომელიც წინად მეფის ძის გიორგის კარის მღვდელი იყო.

— მე თქვენ შორის უკანასკნელი ვარ და მე არ მეკუთვნის პირველად ლაპარაკი, დაიწყო მან, და თან ხალხს მიჰმართა, მაგრამ რადგან ყველა გაჩუმებულია, ამიტომ მე პასუხს ვიძლევი კრების სახელით. მითხარით, რას უძახიან ცოლს აქაურის გზირისას?!

— გზირის ცოლსა,—მიუგო რამდენმამე ხმამ.

— მაშ ამის შემდეგ როგორ გნებავთ, რომ მეფის ცოლს დედოფალი არ ერქვას?!

— ბევრმა გაიღიმა, მაგრამ არავინკი არა სთქვა რა.

— ჩვენ ამ პასუხს გადავცემთ დედოფალს და წმიდა კათოლიკოსს, სთქვა თავადმა თუმანიშვილმა და წავიდა.

გიორგიმ ეს ყველაფერი დაწვრილებით შეიტყო.

სასულიერო წოდება და მოხელეები გიორგისაცა და დედოფალსაც არწმუნებდნენ, თქვენი ერთგულები ვართო.

დედოფალი დარეჯანი მიხვდა, რომ საქმე იმის სასარგებლოდ არა ბოლოვდებოდა, და ამიტომ გადასწყვიტა შვილებითურთ ეცნო საქართველოს მეფედ გიორგი. გაუგზავნეს გიორგის დამტკიცების წერილი, ხელმოწერილი და დამტკიცებული მეფის ყველა ძის ბეჭდით, და იწვევდნენ მიეღო მონაწილეობა მეფის ერეკლეს დასაფლავებაში. მეფის ძეები სთხოვდნენ, რომ დარეჯანის სახელი ეკკლესიაში მოეხსენებინათ მეფის სახელის წინ. გიორგიმ შეუთვალა, რომ თელავში მოსვლისათანავე დავაკმაყოფილებ დედოფლის ყოველს სურვილს, მხოლოდ ხალხის ჩვეულების თანახმად; ამასთანავე სთხოვდა, თვითვე დაემარხათ მეფე ერეკლეს გვამი, რადგან ის სცდილობდა თვისი სამეფო უფლება განემტკიცებინა. გიორგი თელავში მალე მოვიდა ამის შემდეგ, სწორედ მაშინ, როდესაც დასაფლავების წესი შესრულებული იყო და გვამი ერეკლე მეფისა მცხეთაში მიჰქონდათ. თელავში მან ნახა მხოლოდ დარეჯან დედოფალი, მეფის ძე ვახტანგი და მეფის ძე—კათოლიკოსი ანტონი: დანარჩენი ნათესავები და მეფის ძენი ერეკლეს გვამს გაჰყვნენ მცხეთას. გიორგი დარეჯანთან მივიდა და, ჩვეულებისამებრ, იმასთან იტირა მამის გარდაცვალება. დედინაცვალს და გერს შორის მოლაპარაკება დაიწყო; ბოლოს გიორგიმ შეუთვალა დედოფალს, რომ არა მსურს ვიმეფო თქვენის მოახლე ქალების დახმარებით და მივიღებ ტახტს პირმშოობის უფლების ძალით ხელ-შეუვალადო.

გიორგი მსუქანის აგებულების კაცი იყო და სნეულის ადამიანის შეხედულება ჰქონდა. მეტის-მეტად ფიცხი, მაგრამ კეთილი გული ჰქონდა.

მან დაიბარა გორის მთავარ-ეპისკოპოსი, უბრძანა შემოსილიყო სრულის შესამოსლით, მოატანინა ჯვარი და სახარება, შემდეგ მოუწოდა ყველა საპატიო მოხელეს, რომელთაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ საერთო საგარდასახადო კრებამ დაადგინა: გამოფენაზედ გასაგზავნს ცხენებზედ პატრონს სრული გასაგზავნი ხარჯი გამოერთვას და გამოფენის დამთავრების შემდეგ-კი მუქთად დაეგზავნოთ რკინის გზებით უკან იმათ, რომელთაც ჯეროვანი მოწმობა ექმნებათ გამოფენის მმართველებისაგანაო.

— განზრახვა აქვთ მომეტებული ნაწილი აწ არსებულ სანავთ-სადგურო გარდასახადისა გააუქმონ და მხოლოდ ისეთი გარდასახადები დასტოვონ, რომელიც ნავთსადგურის შეკეთება-გადიდებას უნდა მოჰხმარდეს.

— მთა-მადნის მწარმოებელთ შუამდგომლობა დაუწყიათ, რომ ნება მოგვეცით 1902 წელს სამთამადნო საგნების გამოფენა გავმართოთ ქ. პეტერბურგშიო.

— რუსეთის საფარმაცევტო საზოგადოება შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ ნება მოგვეცით მიმდინარე წლის შემოდგომას მთელის რუსეთის ფარმაცევტთა კრება გავმართოთო.

## უცხოეთი

**საბერძნეთი.** ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან დეპეშიდგან, რომ ამ რამდენისამე დღის წინად ვიღაც ბოროტ-გამზრახველებმა მოიწადინეს ათინაში საბერძნეთის მეფის გიორგის მოკვლა. ბოროტ-გამზრახველებმა რამდენჯერმე ესროლეს მეფეს და ეტლში იმასთან ერთად მჯდომს პრინცესსა მარიამს, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოარტყეს. თოფის ხმის გაგონებაზედ მეეტლემ ცხენები გააჩქარა და მეფე პრინცესასთან ერთად შინ მშვიდობიანად დაბრუნდა. ამ ამბავმა მთელ საბერძნეთში დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თუმცა საბერძნეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ბევრნი ემდურებოდნენ მეფეს და იმის წინააღმდეგ დემონსტრაციებსაც ახდენდნენ, მაინც იმ ამბავმა, რომ მეფეს მოკვლას უპირებდნენ ყველანი დიდად აღელვა. საბერძნეთის ყველა კუთხეში სამადლობელი პარაკლისები გადაიხადეს, ხოლო თვით მეფეს დეპეშები გაუგზავნეს. დეპეშები მიიღო მეფე გიორგიმ აგრეთვე რუსეთის ხელმწიფე იმპერატორისა, გერმანიის იმპერატორის ვილჰელმჰისა, ინგლისის დედოფლის ვიქტორიასა და სხვა სახელმწიფოთა მეფეებისაგან. ათინის პოლიციამ ერთი ბოროტ-განმზრახველთაგანი გვარად კორდიტცი კიდეც შეიპყრო. კორდიტცი 35 წლის კაცია, წინად ჯარში მსახურებდა და უნტერ-აფიცრის ხარისხი აქვს მიღებული. უკანასკნელად მოსული გაზეთები იუწყებიან, რომ როგორც ლაპარაკიდგან სჩანს, კორდიტცი ანარხისტთა სწავლის მიმდევარი უნდა იყოსო. თვით ასე უამბო ეს ამბავი გაზ. „Times“: „მე და ჩემი ქალიშვილი მარიამი ეტლით ფალერონიდგან ათინაში მივდიოდით, როდესაც ათინას მიუახლოვდით და პატარა გორაკის თავზედ ავედით, დავინახე გზიდგან ორი-სამის ნაბიჯის სიშორეზედ ორი კაცი თოფებით ხელში. ერთი ესე 25 წლისა იქმნება, ევროპიული ტანისამოსი ეცვა, ხოლო მეორე—20 წლისა და ხალათი ეცვა. როდესაც დაუახლოვდით, უცნობთ თოფები ასწიეს და ცხენებს ესროლეს. ერთი ტყვია ცხენის მოსართავს მოხვდა, ხოლო მეორე—ჩემს მოსამსახურეს. ამის შემდეგ უცნობთ ხელ-ახლა გატენეს თოფები დ გზაზედ გამოვიდნენ, დაიჩოქეს და პირდაპირ ჩვენ დაგვიმიზნეს. მე ჩემ ქალს ავეფარე და ჯოხით დავემუქრე ბოროტ-გამზრახველთ, მაგრამ მათ ყურადღება არ მომაქციეს და თოფები გვესროლეს. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ტყვია არ ამცდებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, პირველ სროლას მშვიდობიანად გადავრჩით. შემდეგ კიდევ გატენეს თოფები და გვესროლეს, მაგრამ ისინიც აგვსცდა. ამ დროს მეეტლეც გონს მოვიდა და ცხენები გააქანა. უცნობთ სულ ექვსჯერ გვესროლეს. იმათი სახე ისე კარგად გავარჩიე, რომ თუ სადმე ვნახე უეჭველად ვიცნობო“.

## ნაკვესი

—

თვალის ექიმთან.

— არა, ექიმო, ჩემს თვალის სინათლეს სიკეთე არა ეტყობა-რა... ვხედავ, რომ ტყუილად ვხარჯავ წამლისა და ექიმისათვის ფულს.

— ჰხედავ?!. სჩანს, რომ თქვენს თვალებს უკეთესობა დასტყობია, თუ ცოტას მაინც ჰხედავთ.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(დასასრული *)

საყურადღებოა შემდეგი ცნობა ბერაის ქრონიკისა: „კათალიკოზნი, რომელ ეკნონისიიგან მომართ იყვნეს: თავფანაგ, ეპლალე, იოველ, სამოველ, გეორგი, კვირიონ, იზიდბოზიდ, იე, პეტრე. ესე ცხრანი ცოლოსანნი იყვნეს“. (იხ. ე. თაყაიშვილის გამოც. 38 გვ.)

კანონი კათალიკოზობდა სტეფანოზ II-ის ჟამს (639—663 წ.) და თანამედროვე იყო მოდისტოსისა, რომელიც ჰერაკლე მეფემ იერუსალიმის პატრიარქად დაადგინა 631 წელს. ხოლო მეექვსე მსოფლიო კრება, რომელმან ეპისკოპოსთა ცოლოსნობა აკრძალა, იყო 680 წელს. ზოგიერთი ზემოხსენებულნი ცოლოსანნი კათალიკოზნი მამათმთავრობდნენ მეშვიდე საუკუნეში; მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ან მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილებას ჩვენამდე გვიან მოუღწევია, ან და ჩვენს კათალიკოზებს (ორიოდ-სამიოდეს) უყურადღებოდ დაუტოვებიათ იგი დადგენილობა.

*) იხ. „ივერია“ № 41.

გვ. 116: უკეთუ ვინ ამიერითგან, მამის ძმისწულისა ანუ დედის დისწულისა გინა მამის დისწულისა ქორწინებისა ზიარებად შეერთოს: ანუ მამამან და ძემან: დედაჲ და ასული იქორწინონ: ანუ ორნი დანი მამან და ძემან შეირთნენ: ანუ ორთა ძმათა ორნი დანი იქორწინენ: შვდ წელ უზიარებლობაჲ დაიმარხონ. ვითარცა განწესებულ არს მეძავთათვს კანონი აღასრულონ და ურჩულოჲ იგი ქორწინებაჲ მყის განიშორონ.

ასრეთი წესი ქორწინებისა, თითქმის შეუცვლელად დღესაც ჰსუფევს თათართა შორის.

გვ. 120: რომელნი მისანთა და გრძნეულთა მიმართ მივიდენ და მათი სასოება ჰქონდეთ... ექვს წელ უზიარებელ იყვნენ.

იქვე: ბედის მთხრობელნი, ღრუბელთა მაოტებელნი, შემლოცველნი, ქერთა მყრელნი და ბეჭისა მხედველნი ...კანონსა შევიდნენ უზიარებლობისასა, ვითარცა განაწესოს ადგილისა მის ებისკოპოსმან.

გვ. 121: კალანდობანი და რომელნი წინაშე სახლთა თვსთა ცეცხლსა აღაგზნებენ და გარდაახდებიან წესისაებრ წარმართაჲსა... ესე მოიკვეთნენ.

სჩანს, რომ ჩვენს ჭიაკოკონას მას აქეთ გამოუვლია 1218 წელიწადი!

იქვე: მოიკვეთნენ საწარმართო სახელისდებანი: დიოს, აპოლონ, არტემა, ბოჩი, კაცი, გა, გეონ და არმაზ (ეს უკასასკნელნი ქართველთა კერპების სახელებია) ანუ „რომელ იგი წნეხასა ყურძნისასა ბილწისა მის დიონისეს სახელსა იტყვან და სიცილსა აღაზრზენენ“.

გვ. 167: ქვეყანასა სომხეთისასა... მღდელი წარიტყვს ლოცვასა საკლეველსა (=საკლავსა) ზედა და მერე მას დაჰკუვენ და დაკლულ ზვარაკის ან ცხოვარის ნაწილს მისცემენ მღდელსა—„წესისაებრ ძუელისა რჩულისა, ვითარცა იქმოდეს ჰურიანი“. გარნა... წესი ესე მოიკვეთოს.

ეს მეელისმკვლელი ჩვეულება თვით ქართველთა ჭყარობის უადრესი სამკაულია დღესაც.

გვ. 84: მღდელობისა ანუ მონოზონებისა წესსა შინა მყოფსა არა კელეწიფების ცხენთა სარბიელსა ანუ იპპოდრომსა მისლვად, ანუ მგოსანთა და მსახიობთა სიმღერისა სმენად.

იქვე: ქორწილსაცა თუ მოწესეთაგანი ვინმე (სამღდელო კაცი) ელოდოს და მივიდეს ჭამად, ოდეს შემოიყვანენ მგოსანთა, მსახიობელთა და მომღერალთა, უამს მოწესესა მას აღდგომაჲ და სახედ (სახლს) თვსად წარსლვაჲ.

გვ: 92: ქუეყანასა სომხეთისასა და სხვათა რომელთამე სოფელთა „წმიდაო ღმერთოჲს“ გალობასა დაურთვენ „წმიდაო უკვდაო, რომელი ჯვარს ეცვი ჩვენთვს, შეგვიწყალენ ჩვენ“, რომელი ესე ენასა მათსა „ხაჩეტარ“ ითქმის. ესე ქალკიდონის კრებისაგან გარიდევნა და შეიჩვენა ესე ვითარისა სიტყვისა მეტყველი პეტროზ მკაწრველი მწვალებელი, რამეთუ მეოთხე პირი შემოიღო.

გვ. 95: ქვეყანასა სომხეთისასა... მღდელობად მათ ოდენ განაწესებენ, რომელნი ნათესავთაგან მღდელთაჲსა იყვნენ და ესე წესი ებრაული არს. გარნა ღირსებისათვს კაცისა ჯერ არს მოყვანებად მღდელობად და არა ნათესაობისათვს.

გვ. 153: ეკკლესიაში ანუ მას ეკვეტერში მგზავრს შეუძლია შეიყვანოს თვისი საკედარი ანუ კარაული... ოდეს შეემთხვიოს ჭირი დიდი ზამთრისა ანუ ბუქისა და მიემთხვიოს გზასა ზედა ეკლესიასა და სახლი არა იპოებოდის. წერილ არს „შაბათი კაცისათვს არსო“: უკეთუ საკედარი არ შეაფაროს სართულსა შინა, იგი მოკვდეს სიკვდილითა მისითა კაცი იგი ვერღარა შემძლებელ იყოს სლვად და იგიცა სიკუდილად მიეცეს.

გვ. 185. ძმაჲ თუ დასა თანა აღერიოს კაცის კლვისა კანონსა თანამდებარს.

წიგნის მეათე გვერდზე ვკითხულობთ სარწმუნოების სიმბოლოს შემდეგის მცირედის განსხვავებით: 1-ლი მუხლი „მრწამსის“ მაგიერ „გურწამს“; 2 ე: „თანაარსი“—„ერთარსი“; „რომლისაგან“—„რომლის მიერ“; 6-ე: „ამაღლდა ზეცად“—„ამაღლდა ზეცას“; 7-ე: „მომავალ არს დიდებით“—„მოვალს“; 11-ე: „მოველი“—„მიველით“; 12-ე: „მერმისა მის საუკუნისასა“—„მერმისა საუკუნოჲსაჲ“.

მ. ჯანაშვილი

## გამოსადეგი ცნობა

შეღებილის კარ-ფანჯრისა ან სხვა რამ ჩარჩოსი და იატაკის გარეცხვა ასე უნდა: აიღეთ 8 წილი წყალი და ერთი წილი ნაშატირის სპირტი და

---

ვერ გაჰბედეს უარის თქმა და შეიკრიბნენ. ზოგიერთები მზად იყვნენ შეეფიცნათ, მაგრამ უმრავლესობა დედოფალ დარეჯანის მომხრე დასს ეკუთვნოდა და ჰსურდათ გადაეცათ სამეფოს გამგეობა იმისთვის. „აქამდის ავადმყოფობის გამომეტყველი სახე გიორგისა,—ამბობს ერთი მემატიანე, რომელზედაც გამოიხატებოდა სიმშვიდე და სიმდაბლე, უეცრად გაბრწყინდა სიმამაცით, მოუდრეკელის ნებით და მეფურის სიდიადით“. გიორგის კარგა ხანია რაც ცილი დასწამეს მშობელი მამის წინ და დაარწმუნეს მამა-მეფე, რომ ის (გიორგი) მისი მოღალატე და ურჩი იყო; ძნელად გაიმართლებდა თავს მამის წინაშე, ის ნათლად ჰხედავდა თავისის მტრების სივერაგეს, რომლითაც უნდოდათ გიორგისთვის სამეფო ტახტი აეშორებინათ, ამიტომ იგი განზრახ გულ-ცივად ეპყრობოდა საამქვეყნო საქმეებს, ღვთის ლოცვასა და ვედრებაში ატარებდა დროს და ამით მოხერხებულად მოატყუა თვისი მოწინააღმდეგე დასი.

კახეთის თავადები, აზნაურები, სასულიერო წოდება და ხალხი შეგროვდნენ თელავის სასახლეს წინ. როდესაც შეიტყო ხალხის უთანხმოება, გიორგი გამოვიდა გარეთ. მრისხანედ ჰბრწყინავდა დიდებული სახე მეფისა; ზედ გამოიხატებოდა სულის სიმშვიდე, გამბედაობა და მოუდრეკლობა. მეფემ გასცა ბრძანება შემოერეკათ ხალხი სამეფო სახლის დარბაზში, წინააღმდეგთ თვალების დათხრა აღუთქვა და კართან დარაჯი დააყენა.

— ჩემი მშობელი გარდაიცვალა, სთქვა გიორგიმ. მე, იმისი უფროსი შვილი, ვკისრულობ მეფობას. აი ჯვარი და სახარება. ვისაც სურს, შემომფიცოს, ვისაც არა ჰსურს, აქედგან წავიდეს. გასვლაც არ შეიძლებოდა.

— გაუმარჯოს მეფე გიორგის!—გაისმა ხმა შეკრებილთა და ყველამ მიიღო ფიცი.

მეორე დღეს საკრებულო ტაძარში გიორგი გამოცხადებულ იქმნა საქართველოს მეფედ, გიორგი მეთორმეტეს სახელ-დებით.

არეულობის ჟამს-კი ეკკლესიებში წირვა-ლოცვა არა სრულდებოდა, იმიტომ რომ სასულიერო წოდებამ არ იცოდა, ვინ მოეხსენებია მეფედ... ხალხი უკმაყოფილო იყო წირვა-ლოცვის შეწყვეტისა გამო. ამბობენ, რომ თელავის საკრებულო ტაძრის კანდელაკმა მოინდომა წირვის შესრულებაო. ძალიან ბევრი ხალხი შეიკრიბა ტაძარში, მით უმეტესად, რომ ჰსურდათ შეეტყო, ვის მოიხსენებდა მეფედ კანდელაკი. მოხერხებულმა კანდელაკმა მშვენივრად დააღწია თავი ძნელს მდგომარეობას.

— მოიხსენოს უფალმან ღმერთმან სასუფეველსა თვისსა ის, ვინც ჩვენს მეფედ გახდება,—დაიძახა კანდელკმა.

ხალხი ტაძრიდგან ისე გამოვიდა, რომ ვერ გაიგო, ვინ იქნებოდა საქართველოს მეფედ. მართალია, გიორგიმ გაიმარჯვა და მეფობა დაიმტკიცა, მაგრამ იგი იძულებული გახდა ხელი მოეწერა ერეკლეს ანდერძზედ, რომლის ძალითაც გიორგის შემდეგ უნდა გამეფებულიყო იულონი. ხელ-მოწერილი ოქმი გადაეცა დარეჯანს შესაწახად. გიორგიმ დარეჯანს დაუტოვა-ადგილ-მამული, რომელიც ჩვეულებისამებრ, უნდა გარდასულიყო ახალის დედოფლის მარიამის მფლობელობაში. დარეჯანიც შეურიგდა გიორგის და, თვისის კეთილ განწყობილების დასამტკიცებლად, იმას გაუგზავნა ყველა სამეფო საგვარეულო ნივთები და საგვარეულო მოჭედილი ხატები. მეფე გიორგიმ დაიტოვა მხოლოდ ხატები და ნივთები ისევ დაუბრუნა დედინაცვალს, რამაც იმათ შორის თანხმობა დაამყარა, თუმცა-კი მცირეს ხნით.

ამ გვარად, გიორგი დამკვიდრდა სამეფო ტახტზედ და ამისთვის მან შეზღუდა სამეფო უფლება, ბევრი რამ ჩამოაცალა მეფურს ღირსებას, ბევრი დაუთმო მოწინააღმდეგე დასს, თუმცა ასეთი მისი საქციელი განზრახ ჩადენილი იყო. დაიმტკიცა თუ არა მეფობა, გიორგიმ დაიქირავა 4,000 ლეკი და იმათის დახმარებით დაიწყო თვისთა ფიცთა და აღთქმათა დარღვევა, რასაც ჩვეული იყო აზიური პოლიტიკა.

ძმები და დედინაცვალი წავიდნენ თავ-თავიანთს საუფლისწულოებში და თითქოს დაწყნარდნენ. გარეგანად სიმშვიდე დამყარდა საქართველოში. მაგრამ იმათ მალე დაუწყეს ძმა-მეფეს წინააღმდეგობა: მომხრეებს ჰშოულობდნენ და ხშირად მეფის ბრძანებას არ ასრულებდნენ. ძმებს, ერეკლეს ძეთა შორის დაიწყო ფიცხელი მტრობა და მებატონეთა და გლეხთა შორის-კი უთანხმოება ჩამოვარდა.

გიორგის ჰსურდა თავისს ძმას ალექსანდრეს შეჰრიგებოდა და ამიტომ მან დახმარება სთხოვა დედინაცვალს დარეჯანს, რომელმაც დაიბარა თავისთან ალექსანდრე. ალექსანდრემ გამოუცხადა პირდაპირ დედას, რომ არ შევურიგდები გიორგის, რადგან ვიცი, რომ იგი არ აღასრულებს მამის ტახტის მემკვიდრეობის შესახებს ანდერძსაო.

ალექსანდრე ბორჩალოში გაიქცა, გიორგიმ თვისი ძე იოანნე გაჰგზავნა მისის გზის შესაკრავად, მაგრამ ალექსანდრე ჯერ ახალციხეს გაიქცა და მერე იქიდგან იმერეთს გადავიდა. მაშინ გიორგიმ დარეჯანზედ მიიტანა ეჭვი, გადაემტერა, სოფლები ჩამოართვა და თავისს მეუღლე დედოფალს გადასცა; ჩამოართვა საუფლისწულო ალექსანდრესაც და სხვა ძმებსაც შევიწროება დაუწყო.

გიორგის ეშინოდა სპარსთა შემოსევისა და რუსეთის შველის იმედი ჰქონდა; ამიტომ მან განიზრახა სათათრეთის მფარველობის ქვეშ შესვლა. თავადი ასლან ორბელიანი, თვისი ქვისლი, გაჰგზავნა ხონთქართან (ზოგნი ამბობენ, თარხნიშვილი გაჰგზავნაო). ორბელიანი ახალციხეს მივიდა და ფაშას შეატყობინა თვისის მისვლის მიზეზი. ფაშამ გაჰგზავნა ხონთქართან შიკრიკი, რათა ხონთქარს ორბელიანისთვის სტამბოლში მისვლის ნება დაერთო. ახალციხეში ელოდა პასუხს ორბელიანი. სწორედ ამ დროს ტფილისს მოვიდა რუსეთით გიორგი მეფის ძე დავითი, რომელიც რუსეთს გაგზავნილ იქმნა ერეკლეს სიცოცხლის დროსვე და იქ სამსახურში შევიდა. მეფის ძემ დავითმა დაარწმუნა გიორგი, რომ რუსეთის ხელმწიფე პავლე მოწყალე თვალით უცქერის საქართველოსაო. ამის გამო გიორგი მეფემ ორბელიანი საიდუმლოდ გამოიხმო უკანვე ახალციხიდან და გიორგის თხოვნას ხონთქრამდის აღარ მიუღწევია.

ფარი

ისე გარეცხეთ. საპნის წყალს წამალი გადაჰყავს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

25 თებერვალი

**პეტერბურგი.** 24 თებერვალს, ხელმწიფე იმპერატორმა, დედოფალმა იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა და დიდმა მთავრებმა დაათვალიერეს პეტერბურგის მხატვართა საზოგადოების სურათთა მე-6 გამოფენა.

უმაღლესის რესკრიპტით საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი დანიშნულ იქმნა მოსკოვისა და კოლომენსკის მიტროპოლიტად, ხოლო ხოლმსკისა და ვარშავის არქიეპისკოპოსი ფლავიანე—საქართველოს ექსარხოსად.

**ვენა.** ახალს კაბინეტს შეადგენენ: ტუნი—საბჭოს პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ველზგერსჰეიმ—ხალხის დაცვათა მინისტრი, ვისტესკ—გზათა მინისტრი, რუბერ—სჯულის საქმეთა, ბილინდტ-რედტ—სარწმუნოების და საერო განათლებისა (ეს ოთხი უკანასკნელნი წინანდელ სამინისტროშიაც იყვნენ), ზემო ავსტრიის სეიმის პრეზიდენტი კასტი—მიწად-მოქმედების მინისტრი, უნივერსიტეტის პროფესორი, დეპუტატი მლადოჩეხი კაიფლ—ფინანსთა, დეპუტატი, დიდი მამულის პატრონი, ნემენტი, ბერნეიტერ—ვაჭრობისა, დეპუტატი—პოლონელი ლედექევოვიჩი—მინისტრი უპორტფელოდ.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. ილაპარაკა (?) და სთქვა, რომ ინდოეთის მოსაზღვრე ყველა ტომები დაიპყრათ, რადგანაც საჭიროა რუსების შემოსევისაგან დავიცვათ ავღანისტანი, რომლის უკანაც ინდოეთია. ინდოეთის საბჭოს უმცროსმა მდივანმა მიუგო, რომ მთავრობა ერიდება, რომ მოსაზღვრე ტომები ადმინისტრატიულ კონტროლს დაუმორჩილოს, რადგანაც ამას დიდი ხარჯი მოსდევს, ხოლო სცდილობს იქონიოს მათთან მეგობრული განწყობილება. რუსეთმა, როგორც ეტყობა, ამ ჟამად თავისი ყურადღება ციმბირის რკინის გზას და აღმოსავლეთის ნავთ-სადგურებს მიაქცია. სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობას აზრად არა აქვს რობერტსის კვალზედ გაიაროს, მთავრობამ თანდათანობით უნდა იმოქმედოს და მეგობრული განწყობილება იქონიოს მოსაზღვრე ტომებთან.

**ვენა.** იმპერატორმა უბოძა გაუჩს ორდენი ლეოპოლდისა და მიჰმართა მოწყალე რესკრიპტით. სამსახურიდგან გამოსული დანარჩენი მინისტრნიც დაჯილდოვებულ იქმნენ.

### წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნს იორდანე სიხარულიძეს, რომელმაც სოფ. მოხისის საეკლესიო სამრევლო სასწავლებელს თავისის ხარჯით დაუკვეთა ამა 1898 წლისათვის ჟურნალი „ჯეჯილი".

სასწავლებლის გამგე ბ. კ.


## განცხადებანი

### ვაუწყებ

პატივცემულს საზოგადოებას, რომ 1898 წლის იანვრიდგან სპირიდონ ქელიძე ჩემთან აღარ არის ამხანაგათ; სავაჭრო საქმეები ყოველივე მე მაქვს ნაკისრი და სპირიდონ ქელიძეს აღარავითარი უფლება არა აქვს გაერიოს არც ჩემს სავაჭრო საქმეების წარმოებაში და არც საამხანაგო გაცემულ-შემოსულ ნისიებში.

ჩემი ადრესი: Тифлисъ. Георгіевская, (противъ Александровскаго сада), Книжная торговля І. З. Имедашвили.

(3—2) იოსებ იმედაშვილი

### ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერეულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)




(11—.მ—9)

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | » | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . . | » | 60 |


# ანგარიში

გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „შუამავალისა"

პირველ იანვრისთვის 1898 წ.

აქტივი.

| № | | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნაღდი ფული კასსაში . . . . . . . . | | 1833 | 97 |
| 2 | „ვზაიმნი კრედიტში" საწევრო ფული | 520—65 | | |
| | მიმდინარე ანგარიშით — — | 50— „ | 570 | 65 |
| 3—4 | უძრავ-მოძრავი ქონება (ინვენტარი) | | | |
| | 1896 წლის — — — | 3576—59 | | |
| | 1897 „ — — — | 3017—36 | | |
| | შემოწირული მამული და სხვა — | 3300— „ | 9893 | 95 |
| 5 | საჭილაოს განყოფილების მაღაზიაში . . . . | | 2251 | 64 |
| | თაფლი, სანთელი, თხილი და ნიგოზი . . . | | 622 | „ |
| 6 | კერძო პირებზედ . . . . . . . . . | | 3249 | 50 |
| | | | 18421 | 71 |

პასსივი.

| № | | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | წილის ფული . . . . . . . . | | 9933 | 27 |
| 2 | მოგება 1896 წლის მ. . . . | 1336—08 | | |
| | საქველ-მოქმედოთ გავეცით . . | 101—20 | | |
| | წმინდა მოგება 1896 წლისა . . | 1234—88 | | |
| | „ „ 1887 „ . . . | 3953—56 | 5188 | 44 |
| | შემოწირული მამული და სხვა *). . . . . | | 3300 | „ |
| | | | 18421 | 71 |

შემოსავალ-გასავლის ანგარიში 1897 წლის განმავლობაში

შემოსავალი:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პარკი გაიყიდა . . . . . | 19093 | 82 |
| სიმინდი გაიყიდა . . . . . | 1333 | 40 |
| აბრეშუმის ჭიის თესლი გაიყიდა . . | 1891 | 90 |
| თხილი გაიყიდა . . . . . | 2210 | 05 |
| მსხალი და ვაშლი გაიყიდა . . . | 2651 | 90 |
| თაფლის სანთელი გაიყიდა . . . | 1058 | 05 |
| თაფლი გაიყიდა . . . . . | 1410 | 01 |
| ფულის სარგებელი . . . . | 173 | 51 |
| ნასესხები ფულები . . . . | 14630 | „ |
| სხვა და სხვა შემოსავალი . . . | 26 | 90 |
| საჭილაოს მაღაზიიდგან . . . . | 3336 | 23 |
| გადმოტანილი 1896 წლიდგან . . | 4392 | 74 |
| წილის ფული 1897 „ . . . | 3300 | 02 |
| | 55508 | 53 |

გასავალი:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სულ პარკში გავიდა . . . . | 13234 | 58 |
| სულ სიმინდში გავიდა . , . . | 1188 | 23 |
| სულ თესლში გავიდა . . . . | 3021 | 35 |
| თხილში . . . . . . | 2095 | 02 |
| მსხალში და ვაშლში . . . . | 2368 | 49 |
| თაფლის სანთელში . . . . | 1136 | 95 |
| თაფლში . . . . . . | 1469 | 47 |
| ნასესხები ფულების სარგებელი . . | 721 | 35 |
| სხვა-და-სხვა ხარჯები . . . . | 571 | 42 |
| ნასესხები ფულები . . . . | 14630 | „ |
| გასესხებული ფულები . . . . | 1749 | 50 |
| ჯამაგირებში . . . . . | 1074 | 75 |
| დღიურ მუშებს . . . . . | 273 | 42 |
| საკანცელარიო მასალები . . . | 9 | 46 |
| შინაურ ხარჯში . . . . . | 83 | 81 |
| სამგზავრო ხარჯი . . . . . | 150 | 44 |
| ფოსტა-ტელეგრამის . . . . | 19 | 43 |
| სავაჭრო მ აწმობები . . . . | 183 | 30 |
| რკინის გზის და ზღვის „ფრახტები" . . | 523 | 95 |
| საჭილაოს მაღაზიაზე მიცემული . . | 5480 | 43 |
| შენობები , . . . . . | 2126 | 52 |
| შეძენილი ნივთები . . . . | 890 | 84 |
| ბათომის საურთიერთო ნდო?ის ბანკში . | 570 | 65 |
| საქველ-მოქმედოთ . . . . | 101 | 20 |
| ფულათ არის . . . . . | 1833 | 97 |
| | 55508 | 53 |

მმართველი კ. თავართქილაძე.

*) შენიშვნა: ამ ანგარიშში გამოსასვლელია როგორც ინვენტარის გამოსასყიდად 10%, აგრეთვე მმართველის ჯამაგირი.—მამული, შემოწირული, როგორც შემოსავალში, ისე გასავალში, ნაჩვენებია ანგარიშის შესასწორებლად.

კ. თ.

(1—ნ.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 25-го Февраля 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.